დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის №1 გადაწყვეტილებით

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგამომცემლო საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (შემდგომში კონსერვატორია), როგორც აკადემიური უმაღლესი სასწავლებელი სარგებლობს საგამომცემლო საქმიანობის უფლებით.
2. საგამომცემლო საქმიანობისას კონსერვატორია ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კონსერვატორიის წესდებით და წინამდებარე წესით.
3. საგამომცემლო საქმიანობის პრიორიტეტებს განსაზღვრავს კონსერვატორიის სარედაქციო-საექსპერტო საბჭო წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად (ოქმი №2, 27. 02. 2018).
4. კონსერვატორიის აკადემიური გამოცემები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.
5. კონსერვატორიას უფლება აქვს სხვა სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით ცენტრებთან (მათ შორის საერთაშორისო) ერთად განახორციელოს ერთობლივი საგამომცემლო პროექტები.

მუხლი 2. ძირითადი მიზნები და ამოცანები. რეგულარული გამოცემები

1. კონსერვატორიის საგამომცემლო საქმიანობის მიზანია: სასწავლო, სამეცნიერო, მეთოდური ლიტერატურის გამოცემით ხელი შეუწყოს სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნას, ეროვნული სამუსიკო მეცნიერების განვითარებასა და პოპულარიზებას.
2. კონსერვატორია გამოსცემს მუსიკის ისტორიისა და თეორიის, საეკლესიო მუსიკისა და ეთნომუსიკოლოგიის, სამუსიკო შემსრულებლობის განხრით კონსერვატორიის პროფესორ–მასწავლებელთა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურას, კომპოზიციის

მიმართულების სანოტო მასალას, აგრეთვე, დოქტორანტთა და სტუდენტთა გამორჩეულ ნაშრომებს.

3. კონსერვატორიას აქვს შემდეგი რეგულარული გამოცემები:

ა) კონსერვატორიის პროფესორ – მასწავლებელთა ავტორობით **სასწავლო ლიტერატურა** (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კურსი, ქრესტომათია);

ბ) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის **სამეცნიერო შრომათა კრებულების სერია** - ***მუსიკისმცოდნეობის საკითხები***, ქართულ ენაზე ინგლისური ანოტაციებით. კრებულში იბეჭდება კონსერვატორიის პროფესორ – მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო შრომები, აგრეთვე, კონსერვატორიაში ჩატარებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებები;

გ) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის **სანოტო კრებულების სერია** - ***მუსიკალური ალმანახი,*** სადაც იბეჭდება კონსერვატორიის კომპოზიციის მიმართულების პროფესორ-მასწავლებელთა სხვადასხვა ჟანრის ქმნილებები. ნოტებს წინ უძღვის სამუსიკისმცოდნეო ანოტაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე; თანდართული აქვს ჩანაწერების კომპაქტდისკები;

დ) კონსერვატორიასთან არსებული ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამოცემები ქართულ და ინგლისურ ენებზე (მათ შორის ელექტრონული სახით). ცენტრის გამოცემებზე პასუხისმგებელია ცენტრის დირექტორი;

ე) ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი: *მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია* (“Copyright” უფლება ეკუთნის ჟურნალის დამაარსებელ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაციას – “ინტერნეტ-აკადემია”);

4. რეგულარული გამოცემის გარდა შესაძლოა გამოიცეს საკონსერვატორიო მიზნებიდან გამომდინარე და საგამომცემლო გეგმით გათვალისწინებული სხვა სამეცნიერო, მეთოდური, საინფორმაციო-საცნობარო და მუსიკალურ-პუბლიცისტური ლიტერატურა.

მუხლი 3. გამოცემის წესი

1. კონსერვატორიის საგამომცემლო გეგმა დგინდება ცალკეული მიმართულებების საგამომცემლო ინიციატივების კოორდინირებისა და საკონსერვატორიო პრიორიტეტების გათვალისწინებით. საგამომცემლო გეგმას განიხილავს კონსერვატორიის სარედაქციო-საექსპერტო საბჭო და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

2. ცალკეული მიმართულებების საგამომცემლო ინიციატივების თავმოყრასა და ერთიან კოორდინირებაზე პასუხისმგებელია გამომცემლობის ხელმძღვანელი.

3. კონსერვატორიის საგამომცემლო გეგმაში დგინდება გამოცემის ვადები (განისაზღვრება მასალის მოცულობის, პუბლიკაციისთვის საჭირო სარედაქტორო სამუშაოსა და ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით) და სხვა პარამეტრები.

4. კონსერვატორია გამოსცემს მხოლოდ რეცენზირებულ მასალებს.

ა) სასწავლო ლიტერატურას უნდა ჰყავდეს ორი რეცენზენტი, რომელსაც გამოყოფს შესაბამისი მიმართულება. ერთ-ერთი რეცენზენტი შესაძლებელია იყოს მომიჯნავე მიმართულებიდან, ან დარგის მოწვეული ექსპერტი (მათ შორის საერთაშორისო).

ბ) რეცენზია განიხილება მიმართულების სხდომაზე. რეცენზიის განხილვის წესს ადგენს თვით მიმართულება.

გ) სამეცნიერო, მეთოდურ, საცნობარო ლიტერატურას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე რეცენზენტი, რომელთაც წარმოადგენს შესაბამისი მიმართულება. რეცენზენტი შესაძლებელია იყოს დარგის მოწვეული სპეციალისტი (მათ შორის საერთაშორისო).

დ) ნაშრომი ქვეყნდება დადებითი რეცენზიის შემთხვევაში. ორი ან მეტი რეცენზენტის დროს, თუ ერთ–ერთი რეცენზია უარყოფითია, მასალა გადაეცემა დამატებით რეცენზირებაზე (სათანადო საფუძვლის შემთხვევაში ფარულ რეცენზირებაზე). რეცენზენტი/რეცენზენტები შესაძლებელია იყოს მომიჯნავე მიმართულებიდან, ან დარგის მოწვეული ექსპერტი (მათ შორის საერთაშორისო).

ე) მიმართულება უფლებამოსილია საჭიროებისამებრ დაადგინოს და განსაზღვროს წინასწარი ფარული რეცენზირების პროცედურაც, რაც არ აბათილებს საბოლოო რეცენზირების აუცილებლობას (მუხლი 3. პუნქტები 4ა, 4ბ, 4გ, 4დ).

ვ) რეცენზიაში გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მიზნით, ავტორს უფლება აქვს გაეცნოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი რეცენზიის ასლებს, მათ შორის ფარული რეცენზიის ასლს რეცენზენტის გვარის მითითების გარეშე.

5. დადებითი რეცენზიისა და გამოქვეყნებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას მასალა (როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო ლიტერატურა) გადაეცემა მეცნიერ–რედაქტორს ან რედაქტორთა ჯგუფს, რომელსაც გამოყოფს შესაბამისი მიმართულება. მეცნიერ–რედაქტორთა ჯგუფის წევრი შესაძლებელია იყოს მომიჯნავე მიმართულებიდან, ან მოწვეული სპეციალისტი.

6. მეცნიერ–რედაქტორის/რედაქტორთა ჯგუფის შენიშვნების გათვალისწინებით, დადებითი რეცენზიით/რეცენზიებით და გამოცემის შესახებ მიმართულების გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტაციით (შესატყვისი სხდომის ოქმის ამონაწერი) შემდგომი მსვლელობისთვის მასალა გადაეცემა გამომცემლობას.

7. გამომცემლობა უზრუნველყოფს გამოცემის სარედაქციო და საწარმოო პროცესს – საგამომცემლო ნორმატივების შესაბამისი საბეჭდი ფაილის დამზადებიდან მის პოლიგრაფიულ განხორციელებამდე.

6. გამოსაცემად ბარდება მხოლოდ ელექტრონული ვერსია პუბლიკაციისთვის დადგენილი პარამეტრების გათვალისწინებით.

8. კონსერვატორიასთან არსებული ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამოცემებისა და ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის: *მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია* გამოცემის წესი განისაზღვრება დამოუკიდებლად, მათი შიდაგანაწესით.

9. სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა კონსერვატორიის გრიფით, ავტორების თუ სპონსორების ხარჯზე, ან საგრანტო დაფინანსებით შეიძლება გამოიცეს მხოლოდ მუხლი 3, პუნქტი 4 -ის აუცილებელი დაცვით.

10. ისეთ შემთხვევაში, თუ გამოცემის პროცესზე პასუხისმგებლობას იღებს კონსერვატორია, გამოცემის ვადები განისაზღვრება ზოგადსაკონსერვატორიო საგამომცემლო გეგმის გათვალისწინებით.

მუხლი 4. საგამომცემლო საქმიანობის უზრუნველყოფა.
ფუნქციები.

1. საგამომცემლო საქმიანობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია გამომცემლობის ხელმძღვანელი, რომელიც ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობის კურირებასა და კოორდინირებას თავის კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედებს სარედაქციო-საექსპერტო საბჭოსა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტთან კოორდინირებით; ანგარიშვალდებულია კონსერვატორიის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

2. გამომცემლობის ხელმძღვანელი წარმართავს გამომცემლობის სარედაქციო და საწარმოო პროცესს:

ა) ასრულებს გამოცემაზე პასუხისმგებელი რედაქტორის სამუშაოს;

ბ) ავტორთან და შესატყვისი მიმართულების მიერ გამოყოფილ მეცნიერ–რედაქტორთან/რედაქტორთა ჯგუფთან თანამშრომლობით ახორციელებს გამოსაცემი მასალის საბოლოო რედაქტირებას საგამომცემლო ნორმატივების შესაბამისად; ადგენს გამოცემის საცნობარო აპარატს და ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას;

გ) უზრუნველყოფს და აკონტროლებს საგამომცემლო წარმოების პროცესის ეტაპებს - გამოცემის გაფორმებიდან (კომპიუტერული მაკეტის დიზაინი, დაკაბადონება, ტექნიკური რედაქტირება და კორექტურა) მის პოლიგრაფიულ განხორციელებამდე;

დ) საგამომცემლო საერთაშორისო პრეფიქსების ეროვნულ ცენტრებთან ურთიერთობის მეშვეობით უზრუნველყოფს გამოცემისთვის (მათ შორის კონსერვატორიასთან არსებული ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამოცემებისთვის) საერთაშორისო ნომრების მინიჭებას;

ე) აწარმოებს ნაბეჭდი პროდუქციის საგამომცემლო ნორმატივებთან შესაბამისობისა და მხატვრული და ტექნიკური ხარისხის კონტროლს;

ვ) პასუხისმგებელია გამოცემული ლიტერატურის გავრცელებაზე როგორც შიდასაკონსერვატორიო, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე;

ზ) უზრუნველყოფს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე საგამომცემლო ინფორმაციის მიწოდებას;

თ) აწარმოებს საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

3. გამომცემლობის ლიტერატურული რედაქტორი ახორციელებს გამომცემლობის ხელმძღვანელის მიერ გადაცემული მასალის ენობრივი უზუსტობების რედაქტირებას.

4. ინგლისურენოვანი ტექსტის რედაქტირებას, გამოცემის დიზაინს და კომპიუტერული მაკეტის დამზადებას ახორციელებს მოწვეული სპეციალისტი.

5. გამოცემის პოლიგრაფიულ განხორციელებას აწარმოებს კონსერვატორიის სტამბა. სამუშაო, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს კონსერვატორიის სტამბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხორციელდება გარეშე საწარმოს მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.